

ენერგოდაიჯესტი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ანალიტიკური დეპარტამენტი



31.01.2014

№ 4

სარჩევი

საქართველო.....	3
კახა კალაძე - ადგილობრივი ბიზნესი გააქტიურებულია, რასაც მთავრობა მიესალმება..	3
არაბული „რაკია“ საშუალო სიდიდის ჰესის მშენებლობაში ინვესტიციებს ჩადებს.....	4
რეგიონი	5
სომხეთის მთავრობამ და ContourGlobal-მა ვოროტანის ჰიდროელექტროსადგურებზე შეთანხმება გააფორმეს	5
ფრანგული ენერგოგიგანტი თურქეთში საქმიანობის გაგრძელებას აპირებს.....	7
ჯანუბის თბოელექტროსადგურმა გახსნიდან 6 თვეში მლრდ. კვტ.სთ-ზე მეტი ელ.ენერგია გამოიმუშავა	8
რუსეთის ფედერაცია და დ.ს.თ-ის ქვეყნები.....	9
უკრაინული Energoatom-ი 2014 წლის გეგმებზე საუბრობს.....	9
Uzbekenero-მ „ნოვო-ანგრენის“ თბოელექტროსადგურის მოდერნიზების პირველი ეტაპი დაასრულა	10
ევროკავშირი	11
Latvenergo ლიბერალიზაციის შემდეგ ელექტროენერჯის ფასების 7-12%-ით ზრდას პროგნოზირებს	11
უნგრეთი უკვე მესამედ ამცირებს ენერჯის სამომხმარებლო ფასებს.....	13
მსოფლიო.....	14
ჩინეთმა მზის ბატარეების დაყენებით რეკორდი მოხსნა	14
ირანი ნავთობის ექსპორტის განახლებას საზღვაო გზით აპირებს	15
BMW i3 - ახალი ტიპის ელექტრომობილი.....	16
ანალიტიკა	17
შაჰ დენიზის მეორე ეტაპი და საქართველო.....	17

კახა კალაძე - ადგილობრივი ბიზნესი გააქტიურებულია, რასაც მთავრობა მიესალმება

„საქართველოში სამი ახალი ჰესი აშენდება“ - ამის შესახებ საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ 27 იანვარს გამართული მთავრობის სხდომის შემდეგ განაცხადა.

მისი თქმით, მათგან პირველი პროექტი ძალიან მასშტაბურია, რომელიც „ალპანასა“ და „სადმელის“ ჰესებს მოიცავს. „კასკადი რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის რეგიონში მდებარეობს. მდინარე რიონზე 230 მეგავატი დადგმული სიმძლავრის ჰესზე იყო გამოცხადებული ინტერესთა გამოხატვა, რომელშიც გამარჯვებულად თურქული კომპანია Calik Enerji გამოცხადდა, რომელმაც ძალიან კარგი შეთავაზება გაუკეთა



სახელმწიფოს გამომუშავებული ელ.ენერჯის გაყიდვასთან დაკავშირებით. ფასი გახლავთ 4.5 ამერიკული ცენტი. მათ უკვე წარმოადგინეს საბანკო გარანტიაც და 12 თვის განმავლობაში უნდა განახორციელონ ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა, რის შემდეგაც ხელშეკრულებაში ჰესის

მშენებლობის დაწყებისა და ექსპლუატაციაში გაშვების ვადები დეტალურად გაიწერება,

- განაცხადა კალაძემ.

ენერჯეტიკის მინისტრის ინფორმაციით, მეორე პროექტია „მესტიაჭალა“, რომელიც 27 მეგავატის სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური იქნება და ენგურის შენაკადზე აშენდება. როგორც კალაძემ განმარტა, ინვესტიციის რაოდენობა 39 მილიონი აშშ დოლარია.



„12 თვის განმავლობაში იქაც უნდა მოხდეს ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა, რის შემდეგაც მოხდება სპეციალური დოკუმენტაციის წარდგენა მშენებლობის ნებართვის მისაღებად. საჭირო პროცედურების დასრულების შემდეგ ხელშეკრულებაში დეტალურად გაიწერება მშენებლობის დაწყების და დასრულების ვადები. ინტერესთა გამოხატვა „საქართველოს ბანკმა“ მოიგო,“ - განაცხადა მინისტრმა.

მინისტრის ინფორმაციით, ადგილობრივი ბიზნესი ბოლო პერიოდის

განმავლობაში გააქტიურებულია, რასაც მთავრობა მიესალმება.

კახა კალაძემ დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში გამართულ შეხვედრებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ინვესტორებისთვის ენერგეტიკა საინტერესო სფეროა.

„ეს ძალიან სასიხარულოა და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რთა უახლოეს მომავალში საქართველო ენერგოდამოუკიდებელი ქვეყანა გახდეს,“ - აღნიშნა კალაძემ.¹

არაბული „რაკია“ საშუალო სიდიდის ჰესის მშენებლობაში ინვესტიციებს ჩადებს

არაბული „რაკია,“ რომელიც თანაინვესტირების ფონდის ერთ-ერთი მსხვილი ინვესტორია, წელს ქართულ ენერგეტიკაში ინვესტიციის ჩადებას გეგმავს.

როგორც „რაკია საქართველოს“ გენერალური დირექტორი გუგა ცანავა „კომერსანტთან“ აცხადებს, ამ ეტაპზე კომპანია 3-4 ჰიდროელექტროსადგურის პროექტს განიხილავს, საიდანაც მხოლოდ ერთი შეირჩევა. გუგა ცანავას თქმით, საუბარია საშუალო, 50 მეგავატამდე დადგმული სიმძლავრის ელექტროსადგურის მშენებლობაზე, თუმცა რომელი პროექტებით დაინტერესდა კომპანია და რა მოცულობის ინვესტიციის



ჩადებას გეგმავს, ამ ეტაპზე არ ხმაურდება.

ცანავას თქმით, ენერგეტიკის გარდა „რაკია“ პროექტების განხორციელებას სხვა სფეროებშიც გეგმავს, მათ შორის თანაინვესტირების ფონდთან თანამშრომლობის ფარგლებშიც. „რაკია საქართველო“ „თბილისი მოლის“ და „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის“ მმართველი კომპანიაა.²

¹ <http://www.infocaucasus.com/?ic/view/29524/kakha-kaladze-adgilobrivi-biznesi-gaaqtiurebulia>

² <http://commerciant.ge/?page=news&id=6127>

სომხეთის მთავრობამ და ContourGlobal-მა ვოროტანის ჰიდროელექტროსადგურებზე შეთანხმება გააფორმეს

როგორც ContourGlobal-მა და სომხეთის მთავრობამ სამშაბათს განაცხადეს, მათ ხელი მოაწერეს ContourGlobal-ის მიერ ვოროტანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის შესყიდვასა და მოდერნიზაციაზე შეთანხმებას. კასკადი სომხეთის სამხრეთ ნაწილში მდინარე ვოროტანზე მდებარეობს და სამი ჰესისაგან შედგება - ჯამური სიმძლავრით 405 მგვტ. შესყიდვის ღირებულებამ 180 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

კასკადი სომხეთსა და კავკასიაში ენერჯოგენერაციის ერთ-ერთ უმსხვილესი და მოქნილი ობიექტია.

აღნიშნული შესყიდვა სომხეთის ისტორიაში აშშ-ს მხრიდან განხორციელებული ყველაზე დიდი კერძო ინვესტიციაა და პირველია ენერჯეტიკის სექტორში. ვოროტანის ჰესების კასკადზე მოდის სომხეთის ენერჯოსისტემის დადგმული სიმძლავრის დაახლოებით 15% და უზრუნველყოფს 250 ათასი სახლის ენერჯომომარაგებას.

CONTOURGLOBAL®



Energies Antilles

შეთანხმების პირობების თანახმად, „ContourGlobal ჰიდრო კასკადი“, რომლის პირდაპირი და სრული მფლობელია ContourGlobal-ი, მდინარე ვოროტანზე მდებარე სამი ჰესის მფლობელი გახდება და მის მართვას განახორციელებს. ელექტროენერჯის შესყიდვის გრძელვადიანი შეთანხმების საფუძველზე გამომუშავებული ენერჯია სომხეთის ქსელს მიეწოდება.

გარდა ამისა, სადგურების მოდერნიზირებისა და საექსპლუატაციო მახასიათებლების, უსაფრთხოების, საიმედოობისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით ContourGlobal-ი რეაბილიტაციის პროგრამაში 70 მილიონის აშშ დოლარის ინვესტიციას განახორციელებს მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში.

„აღნიშნული შეთანხმების ხელმოწერა არის სომხეთის მთავრობასა და მის სააგენტოებთან ორწლიანი ნაყოფიერი მუშაობის შედეგი“, - აღნიშნა ContourGlobal-ის პრეზიდენტმა და მთავარმა აღმასრულებელმა დირექტორმა ბატონმა ჯოზეფ ს. ბრანდტმა. „ჩვენ მოხარული ვართ, რომ საშუალება გვაქვს მნიშვნელოვანი როლი ვითამაშოთ სომხეთის ენერგოსისტემაში და გრძელვადიანი წვლილი შევიტანოთ ქვეყნის საკვანძო ინფრასტრუქტურაში“.

ეს გარიგება ხელს შეუწყობს აღმოსავლეთ ევროპაში ContourGlobal-ის საქმიანობის გაფართოებას, სადაც იგი უკვე ფლობს ენერგოგენერაციის ობიექტებს ბულგარეთში, უკრაინაში, რუმინეთსა და პოლონეთში. გარდა ამისა, მორიგი შენატანი იქნება ContourGlobal-ის განახლებადი ენერჯების პორტფოლიოში, რომელიც ამჟამად დაახლოებით 1000 მგვტ-მდე ჰიდროს, ქარის, მზისა და ბიოგაზის წარმოებას მოიცავს ლათინურ ამერიკაში, ევროპასა და აფრიკაში.

„ჩვენ მოხარული ვართ გავაფორმოთ შეთანხმება ContourGlobal-თან, რომელიც ელექტროგენერაციის ობიექტების გამოცდილი მფლობელი და ოპერატორია მთელს მსოფლიოში. დარწმუნებული ვართ, რომ ContourGlobal-ი წარმატებით განახორციელებს ამ მნიშვნელოვანი ენერგეტიკული კომპლექსის მართვასა და ექსპლუატაციას. ასევე გვინდა აღვნიშნოთ ContourGlobal-ის მიერ დაგეგმილ ინვესტიციები, რაც სამომავლოდ მრავალწლიან პერსპექტივაში გაზრდის სომხეთის ენერგოსისტემის სტაბილურობას, უსაფრთხოებასა და მწარმოებლურობას“, - განაცხადა სომხეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა ბატონმა არმენ მოვსესიანმა.

„მოხარული ვარ, დღეს ხელი მოვაწერო ამ გარიგებას ContourGlobal-ის სახელით. ამ მნიშვნელოვან პროექტთან დაკავშირებით უახლოესი პერიოდის განმავლობაში სომხეთის მთავრობასა და მის სახელმწიფო ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობის იმედს გამოვთქვამთ. Contour Global-ს აქვს რაგიონში მუშაობის ფართო გამოცდილება და ცოდნა და იმედი გვაქვს, რომ ჩვენს პორტფოლიოში ამ მნიშვნელოვან სადგურებს დავამატებთ და მოვახდენთ შემდგომ ინვესტირებასა და გაუმჯობესებას“, - აღნიშნა ContourGlobal-ის რეგიონალურმა დირექტორმა და აღმასრულებელმა ვიცე-პრეზიდენტმა ბატონმა ჰარი ლევესლიმ.³

³ <http://news.am/eng/news/191595.html>

ფრანგული ენერგოგიგანტი თურქეთში საქმიანობის ვაგრძელებას აპირებს

Hurriyet Daily News-ის ცნობით, ფრანგულმა GDF Suez-მა თურქეთის მთავრობასთან ორი დიდი ენერგოპროექტის დაფინანსების საკითხზე ურთიერთგაგების მემორანდუმი გააფორმა.

შეთანხმება მოიცავს შავი ზღვის პროვინცია სინოპში დაგეგმილი თურქეთის მეორე ატომური სადგურისა და სამხრეთ პროვინცია ადანაში 2 მლრდ. ევროს ღირებულების თბოელექტროსადგურის პროექტებს.

შეთანხმებას ხელი 27 იანვარს GDF Suez-ის თავმჯდომარემ და აღმასრულებელმა დირექტორმა ჟერარ მესტრალემ და თურქეთის ენერგეტიკის მინისტრმა თანერ ილდიზმა მოაწერეს და ის მხარეებს შორის ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას გულისხმობს.

GDF SUEZ

BY PEOPLE FOR PEOPLE

„ჩვენ ძველი პოლიტიკის ერთგულნი ვრჩებით და ვაგრძელებთ ინვესტირებას თურქეთის ენერგეტიკის სექტორში და მხარს ვუჭერთ თურქეთის მთავრობას უზრუნველყოს ენერჯის გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილება,“ - განაცხადა ჟერარ მესტრალემ ცერემონიაზე, რომელსაც ასევე საფრანგეთისა და თურქეთის მინისტრები - ფრანსუა ოლანდი და აბდულა გული ესწრებოდნენ.

გარიგების საფუძველზე თურქეთის მთავრობამ და ფრანგულმა ენერგოგიგანტმა ადანას რეგიონში 1 320 მგვტ.-იანი თბოელექტროსადგურის მშენებლობის წინასწარ შეთანხმებას მიაღწიეს.

GDF Suez-ი იაპონურ კომპანია Mitsubishi Heavy Industries-თან და Itochu Corporation-თან ერთად შედის კონსორციუმში, რომელიც თურქეთში 22 მლრდ. აშშ დოლარის ღირებულების ატომურ სადგურს აშენებს.

ფრანგული კომპანიის განცხადებით, მას თურქეთში ბეიმინასა და უნიმარის ბუნებრივ აირზე მომუშავე სადგურებში 1 250 მგვტ. სიმძლავრის ინტერესები გააჩნია.

ჯგუფი ასევე ფლობს Izgaz-ს - ქვეყნის სიდიდით მესამე გაზის სადისტრიბუციო კომპანიას.⁴

ჯანუბის თბოელექტროსადგურმა გახსნიდან 6 თვეში მლრდ. კვტ.სთ-ზე მეტი ელ.ენერგია გამოიმუშავა

აზერბაიჯანის ელ.ენერჯის გენერაციისა და სადისტრიბუციო კომპანია Azerenergy-ს განცხადებით, ჯანუბის თბოელექტროსადგურმა გახსნიდან პირველ 6 თვეში (2014 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით) დაახლოებით 1.17 მლრდ. კვტ. სთ. ელ.ენერგია გამოიმუშავა.



განცხადების თანახმად, თბოელექტროსადგურმა დეკემბრის თვეში 345,2 მლნ. კვტ.სთ. ელ.ენერგია აწარმოა.

ჯანუბის თბოელექტროსადგურს, რომელიც 2013 წლის დასაწყისში გაიხსნა, უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია აზერბაიჯანის ნახევარკუნძულისა და ქვეყნის სამხრეთ რეგიონის ენერგოუსაფრთხოების განმტკიცებაში. თბოელექტროსადგურს ელ.ენერჯის გადაცემისა და დისტრიბუციის სტაბილური მუშაობის კუთხით დიდი მნიშვნელობა გააჩნია.

თბოელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე 780 მგვტ.-ია და ის სამი სახის საწვავზე მუშაობს. კერძოდ: ბუნებრივ აირზე, დიზელსა და მაზუთზე. ამ თვალსაზრისით, ის უნიკალურია და აღმოსავლეთ ევროპასა და დ.ს.თ-ის ქვეყნებში ანალოგი არ გააჩნია.

Azerenergy-ს მფლობელობაში არსებული ელ.სადგურების ჯამური დადგმული სიმძლავრე 6 000 მგვტ.-ია. მას აქვს 200-ზე მეტი ქვესადგური, რომელთა სიმძლავრე 500, 330, 220. 110 კილოვოლტია და 8 ჰიდროელექტრო და 13 თბოელექტროსადგური.⁵

⁴ <http://www.hurriyetdailynews.com/french-energy-giant-inks-deal-extending-presence-in-turkey.aspx?pageID=238&nID=61673&NewsCatID=348>

⁵ <http://en.trend.az/capital/energy/2234571.html>

უკრაინული Energoatom-ი 2014 წლის გეგმებზე საუბრობს

როგორც კიევში 24 იანვარს გამართულ პრესკონფერენციაზე Energoatom-ის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნიკიტა კონსტანტინოვმა განაცხადა, უკრაინული Energoatom-ი მიმდინარე წელს ზაპოროჟიეს აეს-ის ორი და იუჟნოუკრაინსკის აეს-ის ერთი ენერგობლოკის მოდერნიზირებას აპირებს. მისი თქმით, კომპანია ამ მიზნებისათვის EBRD-დან მიღებულ 600 მილიონი ევროს (818 მილიონი აშშ დოლარი) კრედიტს გამოიყენებს, თუმცა სესხის შესახებ ხელშეკრულება უკრაინის პარლამენტის მიერ ჯერ რატიფიცირებული არ არის. „Energoatom-ს ასევე იმედი აქვს, რომ სესხს უკრაინული ბანკებიდანაც აიღებს,“ - აღნიშნა კონსტანტინოვმა.



პარლამენტის მიერ მიმდინარე თვის დასაწყისში დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტი წელს Energoatom-ის კაპიტალის 1.6 მილიარდი გრივით (200მლნ აშშ დოლარით) გაზარდას ითვალისწინებს. კონსტანტინოვმა თქვა, რომ ეს თანხა ატომური ელექტროსადგურის უსაფრთხოების ამაღლებას მოხმარდება.

თუ რუსეთი შესაბამის კრედიტებს გასცემს, კომპანია ასევე იმედოვნებს, რომ როვნოსა და ხმელნიცკის ატომური სადგურების კიევთან დასაკავშირებლად 750კვ გადამცემ ხაზს ააშენებს, გარდა ამისა გაანახლებს გაგრილების სიტემას იუჟნოუკრაინსკის აეს-ზე, ააშენებს ახალ ენერგოკვანძს ტაშლიკის ჰესზე, გააგრძელებს ბირთვული

ნარჩენების სამარხის მშენებლობას და დაიწყებს ხმელნიცკის აეს-ის ორი ახალი ენერგობლოკის მშენებლობას.

კონსტანტინოვმა განაცხადა, რომ რუსეთთან მოლაპარაკებები სამთავრობო დონეზე გრძელდება. 2008 წელს რუსულმა Atomstroyexport-მა ტენდერი მოიგო ორი ენერგობლოკის მშენებლობაზე.

100%-ით სახელმწიფო მფლობელობაში მყოფი Energoatom-ი ახორციელებს უკრაინის ოთხი ატომური ელექტროსადგურის მართვას, რაც ქვეყნის ელექტროენერჯის გამომუშავების თითქმის ნახევარს შეადგენს.

რაკი ბოლო წლებში სახელმწიფო ატომური ენერგეტიკის ხარჯზე სხვა დარგების სუბსიდირებას ახორციელებს, Energoatom-ისთვის ახალი პროექტების ფინანსირება რთული იყო.

შედეგად, კომპანიამ 2013 წლის იანვარ-სექტემბერში 4.7 მილიარდი გრივნის (588 მილიონი აშშ დოლარის) წმინდა ზარალი აჩვენა 2012 წლის იანვარ-სექტემბერში გამოქვეყნებული 1.5 მილიარდი გრივნის (188 მილიონი აშშ დოლარის) საპირისპიროდ.

გასული წლის ივნისის თვეში Energoatom-ის ზედამხედველ თავმჯდომარეს ბესარიონ კიმს უფლებამოსილებები შეუჩერდა, რაც მის წინა სამსახურში იუქნოუკრაინისკის აეს-ში მუშაობის დროს უკანონო შემოსავლებს უკავშირდება.⁶

Uzbekenero-მ „ნოვო-ანგრენის“ თბოელექტროსადგურის მოდერნიზების პირველი ეტაპი დაასრულა

როგორც უზბეკეთის სახელმწიფოს მფლობელობაში არსებულმა ენერგომიმწოდებელმა კომპანიამ Uzbekenergo-მ წინა კვირას განაცხადა, „ნოვო-ანგრენის“ თბოსადგურის მოდერნიზაციის სამუშაოები დასრულებულია.

STATE JOIN STOCK COMPANY
"UZBEKENERGO"

პროექტზე მუშაობა სამი წლის წინ - 2010 წელს დაიწყო. შედეგად თბოსადგურის ხუთი ენერგობლოკი ნახშირზე გადავიდა. განახლებამდე ბლოკები ბუნებრივ აირზე მუშაობდა. ახლა ისინი სათბობის სახით მეზობელი „ანგრენის“ მადაროებში მოპოვებულ ქვანახშირს გამოიყენებს, რაც საშუალებას მისცემს Uzbekenergo-ს, წელიწადში 713.5 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი დაზოგოს.

სქემა ორი ამოცანისგან შედგებოდა:

კერძოდ, კომპანია Toshenergoprojekt-ი, როგორც კონტრაქტორი, სამუშაოებს გენერაციის ობიექტზე ახორციელებდა, მაშინ როდესაც Uzbekenergo-ს შვილობილმა

⁶ NewsBase Energo, CEE/FSU Power Monitor, Issue 698, 29 January 2014, Ukraine's Energoatom reveals plans for 2014

კომპანიამ Uzbekugol-მა ჩინური Sino Coal International Engineering „ანგრენის“ ქვანახშირის საბადოების რეაბილიტაციის ქვეკონტრაქტორად დაასახელა.

ეს ბოლო ამოცანა 2013 წელს შესრულდა. Sino Coal International Engineering-მა ააშენა ახალი გადამამუშავებელი კომპლექსი, რომელმაც მდაროს წარმადობა წელიწადში 3.2 მილიონი ტონიდან 6.4 მილიონ ტონამდე გაზარდა.

ახლა, როდესაც ეს ამოცანები შესრულებულია, „ნოვო-არგენის“ თესს საშუალება ექნება წელიწადში 7.02 მლრდ. კვტ.სთ ელექტრო ენერჯია აწარმოოს.

პროექტის ჯამურმა ღირებულებამ 213.7 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ამ მოცულობის ნახევარზე მეტი ჩინური „ექსპორტ-იმპორტ“ ბანკის (ასევე ცნობილია როგორც ჩინური „ექსიმბანკი“) კრედიტს წარმოადგენს, რომელმაც 113.8 მილიონი აშშ დოლარი გამოყო. დანარჩენი ხარჯებიდან 52.8 მილიონი აშშ დოლარი - „უზბეკეთის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ფონდმა“, ხოლო 47.1 მილიონი აშშ დოლარი Uzbekenergo-მ საკუთარი სახსრებიდან დაფარა.

იგეგმება პროექტის შემდგომი განვითარება, რაც „ნოვო-ანგრენის“ თესის მოდერნიზაციის მეორე ეტაპს გულისხმობს, თუმცა დაწყების სავარაუდო თარიღი არ დასახელებულა. პროექტის ეს ფაზა მიზნად ისახავს თბოსადგურის დანარჩენი ბლოკების ბუნებრივი აირიდან ქვანახშირზე გადართვას და არსებული მერვე ბლოკის ადგილზე გენერაციის ახალი ობიექტის მშენებლობას.⁷

ევროკავშირი

Latvenergo ლიბერალიზაციის შემდეგ ელექტროენერჯიის ფასების 7-12%-ით ზრდას პროგნოზირებს

როგორც ლატვიის ელექტროენერჯიის ეროვნული მწარმოებლის Latvenergo-ს ვაჭრობის უფროსმა გატის იუნჰანსმა გასულ კვირას აღნიშნა, 2014 წლის 1 აპრილიდან ბაზრის სრული ლიბერალიზაციის შედეგად მოსახლეობისათვის ტარიფები ელექტროენერჯიაზე, მისი აზრით, 7-12%-ით გაიზრდება. მან განცხადება ქვეყნის მთავრობის მიერ ელექტროენერჯიით ვაჭრობისა და მოხმარების მარეგულირებელი ახალი წესების დაამტკიცების მომდევნო დღეს გააკეთა.

როგორც იუნჰანსმა Nozare.lv ბიზნეს-ნიუს პორტალს განუცხადა, ექვვარეშეა, ტარიფი გაიზრდება მიმდინარე საბაზისო დონესთან შედარებით, რომელიც კილოვატზე

⁷ NewsBase Energo, CEE/FSU Power Monitor, Issue 698, 29 January 2014, Uzbekenergo ends first stage of modernisation at Novo-Angren TPP

0.1515 ევრო (0.21 აშშ დოლარი). ეს უკანასკნელი საბაზრო დონეზე დაბალია და ამდენად, როგორც კი მოხდება ეროვნული ბაზრის დერეგულირება, ფასები გაიზრდება.

პორტალი აღნიშნავს, რომ ფასების 7-12%-ით ზრდა გამოიწვევს საბაზისო ტარიფების აწევას 0.010605-0.018180 ევროთი (0,014-0,025 აშშ დოლარით) კილოვატზე. თავის მხრივ კი ეს მოსახლეობის ტარიფს ყოველ კვტ.სთ-ზე 0.16105-0.169680 ევრომდე (0.22-0.23 აშშ დოლარამდე) გაზრდის.



შემოდინიშნული შეესაბამება Prudentia Energy Markets-ის დირექტორის რობერტ სამტინსის პროგნოზს. სამტინსმა ადრე აღნიშნა, რომ ბაზრის ლიბერალიზაციის შემდეგ მოსახლეობისათვის ელექტროენერჯის ტარიფმა 1 კილოვატზე შეიძლება 0.17 ევრო (0.23 აშშ დოლარი) შეადგინოს.

Latvenergo-ს განცხადების ფონზე ეს პროგნოზები საკმაოდ ზუსტი ჩანს.

კომუნალურმა სამსახურმა 27 იანვარს განაცხადა, რომ 1 აპრილიდან საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის ელექტროენერჯის მიწოდებაზე ფასწარმოქმნის მრავალდონიან სისტემას შემოიღებს.

კლიენტები, რომლებიც Latvenergo-ს სისტემაში დარეგისტრირდებიან და რომელთა ელექტროენერჯის მოხმარება თვეში არ აღემატება 300 კვტ.სთ-ს, 1 კვტ-ზე საშუალოდ 0.167 ევროს (0.228 აშშ დოლარს) გადაიხდიან, მაშინ როდესაც, მომხმარებლები, რომლებიც არ დარეგისტრირდებიან სისტემაში და რომელთა მოხმარება არ აღემატება თვეში 200 კვტ.სთ-ს, 1 კვტ-ზე 0.169 ევროს (0.231 აშშ დოლარს) გადაიხდიან.

ამასთან, შინამეურნეობები, რომლებიც თვეში 600 კვტ.სთ-ზე მეტს გამოიყენებენ, კილოვატზე 0.16 ევროს (0.22 აშშ დოლარს) გადაიხდიან, ხოლო ისინი, ვინც 200-600 კვტ.სთ-ს მოიხმარენ - 0.1635 ევროს (0.223 აშშ დოლარს).

Latvenergo-ს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ულდის ბარისის ცნობით, ახალი სატარიფო რეჟიმის შედეგად, შინამეურნეობები, რომელთაც მოხმარების დაბალი ნორმები აქვთ, ნახავენ, რომ მათი გადასახადები ელექტროენერჯიაზე თვეში საშუალოდ 5 ევროთი (6.83 აშშ დოლარით) გაიზრდება.

მისი აზრით ისეთი ოჯახების რაოდენობა, რომლებიც თვეში 200 კვტ.სთ-ზე ნაკლებ ელექტროენერგიას მოიხმარენ დაახლოებით 650 ათასია.⁸

უნგრეთი უკვე მესამედ ამცირებს ენერჯის სამომხმარებლო ფასებს

„ფიდესზის“ („უნგრეთის სამოქალაქო კავშირი“ - მმართველი პოლიტიკური პარტია) დახურული სხდომის თავმჯდომარის ანტალ როგანის კომენტარის თანახმად, უნგრეთში აპრილის თვიდან იგეგმება საყოფაცხოვრებო ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირისა და გათბობის ფასების შემცირების მესამე ეტაპი.

როგანი 24 იანვრის ინტერვიუში აცხადებს, რომ თავდაპირველად აპრილში გაზის ფასი უნდა შემცირდეს, ხოლო ელექტროენერჯისა და გათბობის ფასები წლის ბოლომდე შემცირდება.

აღნიშნული ტარიფების შემცირება მიჰყვება 2013 წელს უკვე 2-ჯერ ამოქმედებულ ტენდენციას. უნგრეთში საყოფაცხოვრებო ელექტროენერჯის, გაზისა და ცენტრალური გათბობის ფასები ბოლოს 2013 წლის 1 ნოემბერს 11.1%-ით შემცირდა, რის შემდეგაც პარლამენტმა დაამტკიცა ტარიფების კიდევ ერთხელ შემცირება.

ნოემბრის თვის ფასების კლება, რომელიც პირველი იანვრიდან ელექტროენერჯიაზე ტარიფის 10%-იან შემცირებას გულისხმობდა, ევროკავშირის მიერ კრიტიკის საგანი გახდა. უნგრეთზე მიმდინარეობდა ზეწოლა, რათა შეეცვალათ (ისევ უკან დაებრუნებინათ) ფასების კლებადობის პოლიტიკა.

მმართველი პარტია „ფიდესზი“ აცხადებს, რომ ის მზად არის დაუპირისპირდეს ევროკავშირს, თითქოს ფასების შემცირების პოლიტიკა ეწინააღმდეგება ევროკავშირის მოთხოვნებს

ნაკლებად სავარაუდოა, რომ ენერჯო კაპიტალის უცხოელი მფლობელები კმაყოფილნი დარჩნენ ფასების კლების ტენდენციით, რადგანაც ამით შესაძლოა მათი ინტერესები დაზარალდეს.

ტარიფების შემცირების მეორე ტურის განხორციელებამდე გერმანული RWE (ელ.ობიექტების კომპანია რომელიც მდებარეობს ესენსა და ჩრდილო რაინ-უესფალიაში) და E.ON (ევროპული ჰოლდინგ კომპანია, რომელიც მდებარეობს დუსელდორფში) დაემუქრნენ უნგრეთს საქმიანობის შეწყვეტით, თუ ის კვლავ გააგრძელებდა ფასების კლების პოლიტიკას.

⁸ NewsBase Energo, CEE/FSU Power Monitor, Issue 698, 29 January 2014, Latvenergo sees power prices rising 7-12% after liberalisation

ამ უკანასკნელმა წლის დასაწყისისათვის 870 მილიონ ევროდ (1.2 მილიარდი აშშ დოლარი) მიყიდა გაზის სავაჭრო და სასაწყობო ობიექტი სახელმწიფო მფლობელობაში არსებულ ობიექტს - MVM-ს.

ფასების ასეთი ტენდენციის გაგრძელების შემთხვევაში, შესაძლებელია სხვა საერთაშორისო კომპანიებიც გავიდნენ უნგრეთიდან.


ფასების შემცირებასთან დაკავშირებით კრიტიკოსები ამტკიცებენ რომ „ფიდესზი“, რომელიც ორი მესამედის უმრავლესობით არის ხელისუფლებაში, არჩევნების მოლოდინშია (2014 წლის გაზაფხულზე) და გადასახადების შემცირებით ცდილობს ხმების მოპოვებას.

განვითარების სამინისტროს სახელმწიფო მდივანმა ჯანოს ფოგანმა, რომელიც ასევე სამომხმარებლო გადასახადების შემცირებაზე პასუხისმგებელი გუნდის წარმომადგენელია, 18 დეკემბერს განაცხადა, რომ სახელმწიფო გეგმავდა მოკლე ვადაში შეეძინა მთელი რიგი ენერგეტიკული კომპანიები.⁹

მსოფლიო

ჩინეთმა მზის ბატარეების დაყენებით რეკორდი მოხსნა

ჩინეთმა 2013 წელს რეკორდული სიმძლავრის, ჯამურად 12 გიგავატი, მზის ბატარეები დაამონტაჟა, რითაც გაიორმოგა მზის ენერჯიაში ჯამური დადგმული



სიმძლავრე. ამ სიმძლავრის მზის ბატარეები ერთი წლის განმავლობაში არცერთ ქვეყანაში არ დაუმონტაჟებიათ, ეს ნიშნავს, იმას, რომ ჩინეთმა მთლიანად დიდი ბრიტანეთის მზის ენერჯის დადგმულ სიმძლავრეზე 3-ჯერ მეტი მზის ენერჯის სიმძლავრე

მხოლოდ 2013 წელს დაამონტაჟა. აქამდე არცერთ ქვეყანას 8 გიგავატზე მეტი მზის ენერჯის სიმძლავრე არ შეუმატია ენერგოსისტემისთვის ერთ წელიწადში.

აღსანიშნავია, რომ ამ მონაცემში არ შედის დეკემბრის თვის სამუშაოები, რის გამოც ზოგიერთი ექსპერტის აზრით შესაძლებელია ეს ციფრი 14 გიგავატამდე

⁹ NewsBase Energo, CEE/FSU Power Monitor, Issue 698, 29 January 2014, Hungary cuts domestic power prices for third time

გაიზარდოს. მზის ენერჯის ასეთი ზრდა განაპირობა ჩინეთში ტექნოლოგიების სიიაფემ და ხელმისაწვდომობამ.

2013 წელს ჩინეთმა ჯამში 100 გიგავატი სიმძლავრე შემატა თავის ენერჯოსისტემას, რაც NNEF-ის მონაცემების მიხედვით მეტია, ვიდრე დიდი ბრიტანეთის ან სამხრეთ კორეის ელექტროსისტემის ჯამური დადგმული სიმძლავრე. ნახშირი კვლავ ჩინეთის ენერჯის მთავარი წყაროა. წინა წელს ჯამში 39.7 გიგავატი ნახშირის ელექტოსადგურები შემატა ჩინეთის სისტემას. შემდეგ მოდის ჰიდრო ენერჯია - 30.5 გიგავატით და ქარის ენერჯია - 14.1 გიგავატი სიმძლავრის ახალი სადგურებით.

ჩინეთში მზის ენერჯის ზრდა იმ პროგრამის ნაწილია, რომლითაც ქვეყანა ცდილობს განახლებადი ენერჯების წილის ზრდასა და ნახშირის გამოდევნას. განახლებადი ენერჯების ზრდას ხელს უშლის გადამცემი ხაზების ნაკლებობა. ქარის და მზის სადგურები მდებარეობს დიდი ქალაქებიდან შორს და საჭიროებს ახალ გადამცემ ხაზებს, რათა მოხდეს ელექტროენერჯის გადაცემა იქ, სადაც ის საჭიროა. მაგალითისთვის, 2013 წელს დაყენებული მზის სადგურების 30% დღესაც ელოდება გადამცემი ხაზები აშენებას.

2014 წელს ჩინეთი გეგმავს 14 გიგავატით გაზარდოს მზის ენერჯის სიმძლავრე, საიდანაც 60% სახურავებზე განთავსებული მზის პანელები იქნება.¹⁰

ირანი ნავთობის ექსპორტის განახლებას საზღვაო გზით აპირებს

ირანი საზღვაო გზით ნავთობის ექსპორტის განახლებას აპირებს. ირანული მედიის ცნობით, ეს გადაწყვეტილება მთავრობამ მას შემდეგ მიიღო, რაც ამერიკის ფინანსთა სამინისტრომ გააუქმა ირანის ნაციონალური სატანკერო კომპანიის წინააღმდეგ დაწესებული შეზღუდვები. შედეგად, თეირანს შეუძლია უმსხვილეს მომხმარებლებს - ინდოეთს, ჩინეთს, თურქეთს, იაპონიასა და სამხრეთ კორეას ნავთობი საზღვაო გზით მიაწოდოს.



ირანის წინააღმდეგ სანქციები 2011 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა, რისი მიზნებიც ქვეყნის ბირთვული პროგრამა გახდა. გასულ წელს თეირანმა „ექსპულთან“ შეთანხმებას

¹⁰ <http://energy.einnews.com/article/188068522/PO8voNzSKmVfQR2v?n=2&code=GC3nUIIkJECsLFtE>

მიაღწია, რომლის თანახმადაც ურანის გამდიდრების შეწყვეტის სანაცვლოდ დასავლეთი ქვეყნის წინააღმდეგ სანქციებს შეამსუბუქებს.¹¹

BMW i3 - ახალი ტიპის ელექტრომობილი

აღსანიშნავია, რომ განვითარებული ქვეყნები ტრანსპორტის სექტორშიც ცდილობენ განახლებადი ენერჯის გამოყენებას, რათა შეამცირონ ავტომობილების გამონახოლქვი და გახადონ ისინი გარემოსთან უფრო მეგობრულები.



ელექტრომობილების ევოლუცია და განვითარება ყოველწლიურად მიმდინარეობს. ავტომწარმოებლები მომხმარებლებს სთავაზობენ ახალ მოდელებს, რომლებიც წლიდან წლამდე უმჯობესდებიან. მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ავტომწარმოებელი კორპორაცია BMW მუშაობს თავის ახალ მოდელზე, ელექტრომობილ i3-ზე, რომელიც 2014 წლის მეორე ნახევარში გამოვა.

აშშ-ში ელექტრომობილების რაოდენობა გზებზე ძალიან მცირეა, ასევე მცირეა მათი წილი გაყიდულ ავტომობილებს შორის (2013 წელს 15.6 მილიონი მანქანა გაიყიდა აშშ-ში). მაგრამ ელექტრომობილების ზრდის ტემპი სწრაფია. გაყიდვების რაოდენობა 2013 წელს 5-ჯერ მეტია 2011 წელთან შედარებით და ორჯერ მეტი 2012-თან შედარებით. ამჟამად აშშ-ს გზებზე 165 000 ელექტრომობილია. მხოლოდ 2013 წლის დეკემბერში დაახლოებით 10 000 ერთეული გაიყიდა.

დღესდღეობით აშშ-ს ბაზარზე 4 ფირმის 16 ელექტრომობილის სახეობაა: Chevy Volt, Nissan Leaf, Tesla Model S, Prius PHV. ამ მოდელებზე მოდის გაყიდვების 75%. BMW ცდილობს შევიდეს ბაზარზე ახალი მოდელით, რომლის ფასი 41 350 აშშ დოლარი იქნება. ახალ i3 ერთი დამუხტვით 130-160 კმ-დე მანძილის დაფარვას შეძლებს, ასევე მანქანა აღჭურვილი იქნება საწვავის ავზით, რომელიც დამატებით 130 კმ-ის გავლის საშუალებას იძლევა. ელექტრომობილის სრულად დამუხტვას 30 წუთი დაჭირდება.

BMW-ს ახალი მოდელის კომპონენტების 95% გადამამუშავებადია და შესაძლებელია მათი წარმოებაში ხელახლა გაშვება. კომპანია ბევრ სიახლეს პირდება თავის მომხმარებელს. მაგალითად, i3 მძღოლს უზენებს უახლოეს დამტენ სადგურებს და სადგურებზე არსებულ რიგებსაც. BMW-მ გამოსავალი მოძებნა შორ მანძილზე

¹¹ <http://commerzant.ge/?page=news&id=6094>

მგზავრობის მსურველთათვისაც, i3 მფლობელებს უახლოეს ოფიციალურ დილერებთან შექმნა დროებით შეცვალონ ელექტრომობილი ჩვეულებრივი BMW-ს მოდელით.

BMW ასევე თავის მომხმარებლებს სთავაზობს ჭკვიანი მობილური ტელეფონის აპლიკაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება iPhone-ებისა და Android-ისთვის. მოცემული აპლიკაცია აჩვენებს ელექტრომობილის ბატარეის მდგომარეობას. ასევე, აპლიკაციით შესაძლებელია კარის ჩაკეტვა და ელექტრომობილის ამუშავება. კომპანიამ შექმნა სპეციალური რუკა, რომლის დახმარებითაც მძღოლი შეძლებს გაიგოს სხვადასხვა სიჩქარის დროს რა დანახარჯით მიაღწევს მოცემულ ადგილს.¹²

ანალიტიკა

შაჰ დენიზის მეორე ეტაპი და საქართველო

საქართველოში შაჰ დენიზის მეორე ფაზა იწყება. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე სამჯერ უფრო მეტი გაზი გაივლის და შემდეგ აქედან ევროპას მიეწოდება. როგორც სპეციალისტები ამბობენ, ეს პროექტი საქართველოსთვის რამდენიმე მიმართულებით არის მნიშვნელოვანი: საქართველო გააძლიერებს საკუთარ, როგორც ტრანზიტორი ქვეყნის, როლს; დამატებითი გაზის გატარების შემთხვევაში, საქართველოში შესაძლებელი გახდება გაზზე არსებული მოთხოვნის 75%-ის დაკმაყოფილება მსოფლიოში არსებულ საბაზრო ფასებთან შედარებით თითქმის სამჯერ უფრო იაფად და გაზსადენის ოპერირების პერიოდში მუდმივ სამუშაო ადგილს მიიღებს 130 ადამიანი.

პროექტის ერთ-ერთი ელემენტია უკვე არსებული სამხრეთკავკასიური მილსადენის გაფართოება, რომლითაც ამჟამად 7 მილიარდი კუბური მეტრი გაზი მიეწოდება ყოველწლიურად აზერბაიჯანიდან თურქეთს საქართველოს გავლით. მილსადენის გაფართოების ფარგლებში მოხდება თურქეთის მიმართულებით წლიურად, დამატებით 16 მილიარდი კუბური მეტრი გაზის მიწოდება 26 ახალი დამატებითი ჭაბურღილიდან.

შაჰ დენიზის მეორე ფაზის პროექტის ფარგლებში პირველი გაზის მიწოდება თურქეთის და საქართველოს მომხმარებლებისთვის სავარაუდოდ 2018 წლისთვის დაიწყება დაახლოებით 6 მილიარდი კუბური მეტრის რაოდენობით ყოველწლიურად, ხოლო ერთი წლის შემდეგ – დამატებითი 10 მილიარდი კუბური მეტრის მიწოდება

¹² <http://energy.einnews.com/article/188055832/JBQ3--mVPRpkbuTr?n=2&code=GC3nUIIklECsLFtE>

განხორციელდება საბერძნეთში, ბულგარეთსა და იტალიაში. არსებული შეთანხმების თანახმად, საქართველოს შეუძლია ტრანზიტით გატარებული ბუნებრივი აირის 5% შეღავათიან ფასად შეისყიდოს, რაც გაზსადენის მაქსიმალური დატვირთვის შემთხვევაში, წელიწადში დამატებით მილიარდ კუბურ მეტრ გაზზე მეტს შეადგენს. ამასთან, პარალელური მილსადენების მშენებლობისათვის საქართველოს პორტებისა და რკინიგზის გამოყენებით დაახლოებით 350 000 ტონა სამშენებლო ტვირთისა და მასალების გადაზიდვა განხორციელდება.

სულ პროექტი 25 მილიარდი აშშ დოლარი დაჯდება, აქედან, ინვესტიციის სახით, მთავრობა საქართველოში 700 მილიონი აშშ დოლარის შემოსვლას ვარაუდობს, თუმცა BP-ის ოფიციალურ ბროშურაში წერია, რომ ინვესტიციამ შეიძლება 2 მილიარდ აშშ დოლარსაც მიაღწიოს. ამ თანხის 20% სამშენებლო მასალების შექმნას მოხმარდება. როგორც საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე თემურ გოჩიტაშვილი ამბობს, გაზსადენის მშენებლობის პროცესში 2 ათასი ადამიანი დასაქმდება, ხოლო ექსპლოატაციაში შესვლის შემდეგ, დაახლოებით 130 კაცი მუდმივ სამუშაოს მიიღებს.



შაჰ დენიზი (იგივეა, რაც ზღვის მეფე) კასპიის ზღვის ნაპირიდან 70 კილომეტრის სიღრმეში აზერბაიჯანის სექტორში მდებარეობს. რეზერვუარი აქ 1999 წელს აღმოაჩინეს და ის დღემდე მსოფლიოს უდიდეს გაზის კონდენსატის საბადოდ ითვლება. რეზერვუარებში, რომლებიც შაჰ დენიზის განვითარების 1-ელ და მე-2 ეტაპზე მუშავდება, 0.9 ტრილიონი კუბური მეტრი გაზია. უფრო ღრმა ბურღვის შედეგად კი, დამატებით კიდევ 1.4 ტრილიონი კუბური მეტრის ათვისების პოტენციალი არსებობს. რეზერვუარს 140 კვადრატული კილომეტრი უჭირავს და ზომით და ფორმით მანჭეტენის კუნძულს ჰგავს.

შაჰ დენიზის განვითარების პირველ ეტაპზე, ბაქოს მახლობლად გაზსადენების ერთი პლატფორმა აშენდა. დღეს ის ყოველწლიურად 9 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს აწარმოებს. აღიარებულია, რომ შაჰ

დენიზის ეს ჭები მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიულია – თითოეული მათგანი 2 მილიარდ კუბურ მეტრ გაზამდე შეიცავს.

2006 წლიდან შპს დენიზიდან გაზის ექსპორტი ხდება აზერბაიჯანში, საქართველოსა და თურქეთში. თემურ გოჩიტაშვილის თქმით, დღეს აზერბაიჯანიდან მიღებული გაზის მოცულობა საქართველოში მოხმარების დაახლოებით 30%-ს ფარავს. მისივე თქმით, მეორე ფაზის ამოქმედების შემდეგ, ეს მაჩვენებელი 75%-მდე უნდა გაიზარდოს.

შპს დენიზის განვითარების მეორე ეტაპი ამავე რეზერვუარში დარჩენილი რესურსების პოტენციალის უკეთ ათვისებისკენ არის მიმართული.

2006 წელს გაყვანილი 690 კილომეტრი სიგრძის სამხრეთკავკასიური მილსადენის გაფართოება ითვალისწინებს პარალელური მილსადენის მშენებლობას – 387 კმ-ს აზერბაიჯანის, ხოლო 55 კმ-ს საქართველოს ტერიტორიაზე. ასევე დაგეგმილია ორი დამატებითი საკომპრესორო სადგურის, ახალი წნევის რეგულირებისა და გამზომი სადგურის ინსტალაცია საქართველოში. BP-ის გათვლებით, რომელიც პროექტის მთავარი დამფინანსებელია, რეზერვუარიდან შესაძლებელია დამატებით 16 მილიარდი კუბური მეტრი გაზის მიღება.

იმისთვის, რომ ამ მოცულობამ მიაღწიოს ჩაფიქრებულ ბაზრებამდე – თურქეთი, საბერძნეთი, ბულგარეთი და იტალია – ორი გაზსადენი აშენდება: TANAP-ი და TAP-ი. BP-ის გათვლებით, მხოლოდ ამ გაზსადენების აშენება 15 მილიარდი აშშ დოლარი დაჯდება. ექსპლოატაციაში შესვლის შემდეგ, ამ გაზსადენების გამტარიანობა ორჯერ გაიზრდება, რაც ტრანსპორტირების დამატებითი მარშრუტების ათვისებას შეუწყობს ხელს.

ტრანსანატოლიური გაზსადენი (TANAP) სამხრეთ კავკასიის მილსადენის გაგრძელება იქნება თურქეთის აღმოსავლეთ საზღვართან. გაზსადენი საქართველო-თურქეთის საზღვართან აიღებს სათავეს და თურქეთ-ბულგარეთის საზღვრამდე გაგრძელდება. იქ მას შეუერთდება სხვა მილსადენი, რომლის მეშვეობითაც გაზი იტალიამდე მიაღწევს.

TANAP-ი თურქეთის დასავლეთ საზღვართან ტრანსადრიატიკულ გაზსადენს (TAP) შეუერთდება. აქედან TAP-ი გადაკვეთს საბერძნეთს და ალბანეთს ადრიატიკის ზღვის ნაპირამდე, შემდეგ მილსადენი წყალქვეშ გაივლის იტალიამდე. აქედან კი უკვე იტალიის გაზის ტრანსპორტაციის ქსელს შეუერთდება.

პროექტის მთავარი დოკუმენტის, აზერბაიჯან-თურქეთის მთავრობათაშორისი ურთიერთგაგების მემორანდუმის მიხედვით, ტრანსანატოლიური მილსადენის საკონტროლო პაკეტის მფლობელი, ასევე მთავარი ინვესტორი და მილსადენის

ოპერატორი აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია იქნება. მას 80%-იანი წილი ეკუთვნის, თურქეთის მილსადენების სახელმწიფო კომპანია – Botas-ი და ნავთობკომპანია – Turkish Petroleum-ი კი 10-10%-ს ფლობენ.

სხვადასხვა გათვლებით, TANAP-ის მშენებლობა 5-დან 6 მილიარდ აშშ დოლარამდე დაჯდება. მშენებლობის ხარჯის დიდი ნაწილის დაფარვას აზერბაიჯანი ნავთობის ექსპორტით მიღებული შემოსავლებით აპირებს. სრული დატვირთვის შემთხვევაში, მილსადენი ევროპისკენ 30 მილიარდი კუბური მეტრი გაზის გატარებას შეძლებს.

ბუნებრივ გაზზე მოთხოვნა ევროპული და სამხრეთ კორიდორის გასწვრივ მაღალია. იტალია, რომელიც გაზსადენის დანიშნულების ბოლო პუნქტია, ევროპაში ბუნებრივი გაზის ერთ-ერთი უმსხვილესი ბაზარია: აქ გაზის მოხმარება 70 მილიარდ კუბურ მეტრს აღწევს. სამხრეთ კორიდორის გახსნით, საბერძნეთის და ბულგარეთის ბაზრები ახალი წყაროდან მიიღებენ გაზს. ალბანეთისთვის სამხრეთ კორიდორი ქმნის გაზის ინდუსტრიის განვითარების შესაძლებლობას, რაც ელექტროენერჯის წარმოების ეფექტურობაზეც აისახება.

ყველა ეს ქვეყანა საშუალოდ 50%-ზე მეტად რუსულ გაზზეა დამოკიდებული, ამიტომ, სპეციალისტების შეფასებით, შაჰ დენიზის განვითარება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ევროპის ენერგოდამოუკიდებლობას. შაჰ დენიზის მეორე ფაზამ შეიძლება სერიოზული კონკურენცია გაუწიოს რუსეთის ფავორიტ პროექტს სამხრეთის ნაკადსაც. სამხრეთის ნაკადი მოსკოვის მხრიდან ჩაფიქრებული იყო, როგორც ინსტრუმენტი იმისთვის, რომ სამხრეთ კორიდორის მხრიდან არსებული კონკურენცია დაებლოკა და ევროპის გაზით მომარაგებაზე მონოპოლია კიდევ დიდი ხნით შეენარჩუნებინა.

სპეციალისტებისთვის გაურკვეველია, შეძლებს თუ არა სამხრეთის ნაკადი როდესმე კომერციული თვალსაზრისით რაციონალურად ოპერირებას. გაზპრომი ამ დრომდე მალავს სამხრეთის ნაკადთან დაკავშირებულ ყველა დეტალს – მათ შორის, ვინ იქნება გაზის მომწოდებელი ამ პროექტისთვის, რა დაჯდება გაზსადენის აშენება და ოპერირება, ან რა ფასად მიიღებენ ევროკავშირის მომხმარებლები სამხრეთის ნაკადით გაზს.

სპეციალისტების გათვლებით, სამხრეთის ნაკადის მთავარი მომწოდებელი უნდა იყოს თურქმენეთი, თუმცა სხვადასხვა კვლევებით დასტურდება, რომ ევროკავშირისთვის თურქმენული გაზის მიწოდება გაცილებით უფრო ძვირია სამხრეთის ნაკადის გაზსადენის გავლით, ვიდრე სამხრეთის კორიდორის გავლით. კვლევები იმასაც აჩვენებს, რომ სამხრეთის ნაკადი გაზპრომისთვის მოგებიანი პროექტი არ არის. შესაბამისად, კრემლის მთავარი მიზანია, ინვესტორები დააშინოს იმით, რომ

სამხრეთ კორიდორის განვითარების შემთხვევაში, ბალკანეთის და ცენტრალური ევროპის გაზის ბაზრებს სამხრეთის ნაკადის 63 მილიარდი კუბური მეტრი გაზი წალეკავს და აზერბაიჯანის საბადოებში არსებულ კონკურენტულ გაზს შანსს არ დაუტოვებს.

გამოდის, რომ ევროკავშირი და სამხრეთ კორიდორის კერძო ინვესტორები ევროპელ მომხმარებლებს და რუსეთის მოქალაქე გადასახადის გადამხდელებს დიდ სამსახურს გაუწევენ, თუ მოსკოვის ბლეფს არ აპყვებიან. შაჰ დენიზის გაფართოების მეორე ფაზა მიანიშნებს იმაზე, რომ ევროპის საბედნიეროდ, ინვესტორები სწორედ ამას აპირებენ. რუსეთის გადასახადების გადამხდელთა სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ კრემლი ზუსტად ასევე დაჟინებით ცდილობს სამხრეთის ნაკადის პროექტის ამუშავებას. თუმცა დღესდღეობით აზერბაიჯანის საბადოების გარდა არ არსებობს გაზის დამატებითი მარაგები, რომელთა წარმოება და ევროპაში გაყიდვაც რეალისტურად შეიძლებოდა: შაჰ დენიზის საბადოდან გაზის წარმოების შემდეგ, გაზის ყველაზე რეალური მიწოდება აზერბაიჯანის კიდევ ერთი საბადოდან აბშერონიდან შეიძლება და ეს მარაგიც სამხრეთ კორიდორისთვის იქნება განკუთვნილი. გამოდის, რომ შაჰ დენიზის გაფართოების შემთხვევაში, არსებობს გაზის დამატებითი რესურსი, ხოლო სამხრეთის ნაკადმა უკვე არსებული უნდა გაატაროს.

როგორც სპეციალისტები ამბობენ, მას შემდეგ, რაც გაზის ტრანსპორტირების პირველი მარშრუტი გაიხსნება, დამატებითი გაზი და ინფრასტრუქტურაც გამოჩნდება: მოსალოდნელია, რომ სამხრეთ კორიდორის მიერ გატარებული დამატებითი გაზი ბულგარეთს, საბერძნეთს, ალბანეთსა და იტალიას გასცდეს და გეზი სამხრეთ-აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპისკენაც აიღოს.

შაჰ დენიზის პროექტის პარტნიორებს მესამე ფაზის გრძელვადიანი გეგმებიც აქვთ. ეს ხედვა ეფუძნება იმ აღმოჩენებს, რომელიც 2007 წელს BP-იმ კასპიის ზღვაში ყველაზე ღრმა ჭაბურღილის ბურღვისას გააკეთა: აღმოჩნდა, რომ ახალი მაღალი წნევის რეზერვუარის აღმოჩენა შაჰ დენიზის პროექტის კიდევ უფრო გაფართოების შესაძლებლობას იძლევა. რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს, როგორც ტრანზიტორი ქვეყნის, როლი მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. თუმცა ამ რესურსების ასათვისებლად, მათი მაღალი წნევის გათვალისწინებით, ახალი ტექნოლოგიები და ახალი კვლევები იქნება საჭირო.¹³

¹³ <http://www.tabula.ge/ge/story/79648-shah-denizis-meore-etapi-da-saqartvelo>